



836-15-5-2-202101281826



N 15-5/836

28/01/2021

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ გოჩა ლორთქიფანიძეს

წინადადება

ბრალდებულ [REDACTED] ადვოკატთან კონფიდენციალური წერილობითი კომუნიკაციის უფლების დარღვევის გამო დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო გოჩა,

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მოპვებული მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ [REDACTED] შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა მხრიდან ბრალდებული [REDACTED] ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლების დარღვევას,¹ რაც გამოიხატა შემდეგში:

ფაქტობრივი გარემოებები

სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორების მიერ 2020 წლის 29 დეკემბერს შედგენილი ოქმის თანახმად, ბრალდებული [REDACTED] ადვოკატმა გაურკვეველი მიზეზით უარი განაცხადა, ბრალდებულის მიერ გადაწოდებული მასალებიდან ჩაებარებინა 2 ფურცლად აკინძული მასალა, რომელზეც დატანილია კარტოგრაფიული ნახაზები შესაბამისი წარწერით.

2020 წლის 30 დეკემბერს სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულებაში სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას, ბრალდებულმა [REDACTED] განმარტა, რომ 29 დეკემბერს შეხვდა ადვოკატს, რომელთანაც განიხილავდა დაცვის სტრატეგიის საკითხებს. ბრალდებულის თქმით, ადვოკატის მიწოდებულ რუკებზე გააკეთა შესაბამისი კომენტარები მინაწერის სახით, გადააწოდა დაწესებულების თანამშრომელს ადვოკატისთვის გადასაცემად და

¹ „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით და „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებისა და ეთივის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N144 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა.

დაბრუნდა საკანში (კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებულებებში ბრალდებულისა და ადვოკატის შეხვედრები მიმდინარეობს გაყიდვი მინის ბარიერით).

დაახლოებით 20 წუთის შემდეგ მასთან მიერთოდა თანამშრომელი, რათა ბრალდებულისთვის დაებრუნებინა დოკუმენტები. მან ბრალდებულს უთხრა, რომ ჩანაწერების გადაცემა არ შეიძლებოდა. [REDACTED] განმარტებით, მან უარი განაცხადა ჩანაწერების დაბრუნებაზე და მოითხოვა სახალხო დამცველის აპარატან დაკავშირება, რაზეც ასევე უარი განუცხადეს, ხოლო საქმის მასალები თანამშრომელმა უკან წაიღო.

სახალხო დამცველის რწმუნებული N8 დაწესებულებაში შეხვდა [REDACTED] რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების თანამშრომელმა ადვოკატს თავდაპირველად მიუტანა ყველა სხვა დოკუმენტი, რომელზეც მინაწერები არ იყო, ხოლო ის დოკუმენტი, რომელზეც იყო [REDACTED] რუკებზე გაკეთებული ჩანაწერები შემოწმდა უსაფრთხოების სამსახურის მიერ. [REDACTED] მას შემდეგ, რაც დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის დაწესებულისა, რომ ჩანაწერი არ შეიცავდა პირადი ხასიათის მიმოწერას სხვა ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან და არ არღვევდა კანონით გათვალისწინებულ ნორმებს, გადაწყდა დოკუმენტის გადაცემა ადვოკატისთვის, თუმცა მან დოკუმენტი აღარ ჩაიბარა.

სამართლებრივი დასამუთხება

ა) ადვოკატან კონფიდენციალური ურთიერთობის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება გარანტირებულია კანონით.²

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია, აკრძალულია მათ ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუმლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას.³

საპროცესო კანონმდებლობა და პატიმრობის კოდექსი ადგენს, რომ დაპატიმრებული ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით,⁴ ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე.⁵

ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალური და თავისუფალია.⁶ კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიიღო კლიენტისგან ან

² საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 31, პუნქ. 3.

³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 38, ნაწ. 5.

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 43, ნაწ. 3.

⁵ საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხ. 18, ნაწ. 1; „საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანება, მუხ. 52, პუნქ. 1.

⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 43, ნაწ. 1.

იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან.⁷ ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებული საუბრის მიყურადება და ჩაწერა დაუშვებელია, ხოლო მათ შორის მიმოწერა –ხელშეტებელი.⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე ადგენს, რომ თუ ადვოკატს არ აქვს თავის კლიენტთან კონფიდენციალური გასაუბრებისა და მისგან ინსტრუქციების მიღების საშუალება ისე, რომ თვალთვალს და მიყურადებას არ დაქვემდებაროს, მისი დახმარება არ იქნება ეფექტიანი⁹ და მის მიერ გაწეული დახმარების შედეგი საგულისხმოდ დაკანინდება.¹⁰

ბრალდებულისა და ადვოკატის ნებისმიერ ურთიერთობაზე შეზღუდვების დაწესება, იქნება ეს დადგენილი, თუ სხვა სპეციფიკური შეზღუდვები, არ უნდა აბრკოლებდეს ადვოკატის მიერ მოპასუხისთვის ეფექტიანი იურიდიული დახმარების გაწევას.¹¹

ბ) კორესპონდენციის შემოწმების საფუძვლები

საგულისხმოა, რომ პატიმრობის კოდექსი და დაწესებულების დებულება ერთმანეთისგან მიჯნავს პირად კორესპონდენციას და ადვოკატისთვის გასაგზავნ/ადვოკატისგან მიღებულ წერილებს. კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის ადვოკატი, განიხილება ცალკე და მასზე არ ვრცელდება კანონით დადგენილი საფუძვლები, რომელიც ზღუდავს ბრალდებულის პირად მიმოწერას.¹²

ბრალდებულის კორესპონდენციის შემოწმება მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე. უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდისას, თუ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი მოსამსახურე უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა.¹³ პენიტენციურ დაწესებულებას ეკრძალება შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის ადვოკატი.¹⁴

ცხადია, აღნიშნული დანაწესი არ აძლევს ციხის ადმინისტრაციას უფლებას, ბლანკეტურად, დასაბუთების და აუცილებლობის გარეშე, გაეცნოს პატიმრის მიერ ადვოკატისთვის გადასაცემ

⁷ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 38, პუნქ. 6.

⁸ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 38, პუნქ. 7.

⁹ S. v. Switzerland, N12629/87, 13965/88, 28.11.1991 §48; Brennan v. the UK, N39846/98 16.10.2001 §58.

¹⁰ Öcalan v. Turkey, N46221/99, 12.05.2005 §133.

¹¹ Sakhnovskiy v. Russia, N21272/03, 02.11.2010 §102.

¹² იხ.: საქართველოს პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლის შენიშვნა, აგრეთვე „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანება, მუხ. 40, პუნქ. 21, ქვეპ. „ლ“.

¹³ საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხ. 16, ნაწ. 4; „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანება, მუხ. 40, პუნქ. 14.

¹⁴ საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხ. 16, ნაწ. 6. მსგავს აკრძალვას დაწესებულების წებისმიერ მოსამსახურეს უწესებს „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანება, მუხ. 40, პუნქ. 17.

ჩანაწერებს, თუკი არ არსებობს რაიმე აშკარა და კონკრეტული გარემოება, რაც ჩანაწერის შინაარსობრივი გაცნობის აუცილებლობას წარმოშობდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ანალოგიურად აცხადებს, რომ სახელმწიფოს მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში აქვს უფლება შეზღუდოს ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლება¹⁵. საგამონაკლისო გარემოება უნდა ეფუძნებოდეს სათანადო მიზეზს, მაგრამ ამგვარი შეზღუდვით არ უნდა შეიღახოს ბრალდებულის უფლება სამართლიან განხილვაზე.¹⁶ სათანადო მიზეზი გულისხმობს ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რაც დააკმაყოფილებს ობიექტურ დამკვირვებელს პრივილეგირებული კომუნიკაციის არხის ბოროტად გამოყენებაში.¹⁷

სასამართლოს განმარტებით, პატიმრის ადვოკატთან გაგზავნილი და მისგან მიღებული წერილის წაკითხვა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ხელისუფლებას აქვს გონივრული საფუძველი ჩათვალის, რომ ადვოკატთან კომუნიკაციის პრივილეგია ბოროტად გამოიყენება, რადგან წერილის შინაარსი საფრთხეს უქმნის ციხის ან სხვების უსაფრთხოებას ან სხვაგვარად არის კრიმინალური ხასიათის.¹⁸

სასამართლომ დარღვევა დაადგინა საქმეში, სადაც ადვოკატსა და განმცხადებელს ერთმანეთისთვის ნებისმიერი დოკუმენტის გადასაცემად საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციისგან სპეციალური ნებართვის აღება მოეთხოვებოდათ და დოკუმენტების გადაცემამდე მათ ადმინისტრაცია კითხულობდა. სახელმწიფომ მოცემულ საქმეში ვერ მიუთითა, თუ რა გამონაკლისი გარემოება, ან პრივილეგიის ბოროტად გამოყენება მიუთითებდა სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლების შეზღუდვის საჭიროებაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელსა და მის ადვოკატებს მორის გაცვლილი დოკუმენტების საგულდაგულო კითხვამ გადაჭარბებული და თვითნებური ფორმით შელახა დაცვის უფლებები.¹⁹

ანალოგიური შედეგი დადგა სხვა საქმეშიც, სადაც ციხის ადმინისტრაციის პრაქტიკა იყო ყველა წერილობითი დოკუმენტის წაკითხვა, რომელიც გაიცვლებოდა მომჩივნებსა და თავიანთ ადვოკატებს შორის შეხვედრებზე ციხეში, მათ შორის, ჩანაწერები, პროექტები, მონახაზები, სამოქმედო გეგმები და სხვა მსგავსი დოკუმენტები, რომელიც განზრახული იყო დაცვის სტრატეგიის მიზნებისთვის. მოცემულ საქმეში, დარღვევის დადგენასთან ერთად, სასამართლომ გაიმეორა, რომ ნებისმიერი ჩარევა პრივილეგირებულ მასალაში, და, ამგვარი მასალის გამოყენება სამართალწარმოებაში ბრალდებულის წინააღმდეგ, უნდა ყოფილიყო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და გამართლებული სასწრაფო საჭიროებით და უნდა დაქვემდებარებოდა ყოველთვის უმკაცრეს შესწავლას.²⁰

¹⁵ Sakhnovskiy v. Russia, N21272/03, 02.11.2010 §102.

¹⁶ Öcalan v. Turkey, N46221/99, 12.05.2005 §133.

¹⁷ Campbell v. the UK, 25.03.1992, 13590/88 §48; Piechowicz v. Poland, N20071/07 17.04.2012, §239.

¹⁸ Campbell v. the UK, 25.03.1992, 13590/88 §48; Piechowicz v. Poland, N20071/07 17.04.2012, §239; Moiseyev v. Russia, N62936/00, 09.10.2008 §210.

¹⁹ Moiseyev v. Russia, N62936/00, 09.10.2008 §208-212.

²⁰ Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, N11082/06, N13772/05, 25.07.2013 §627, 635-641

მოცემული შემთხვევის ანალიზი

როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების თანამშრომლების ოქმით, ისე - [REDACTED] ახსნა-განმარტებით, ირკვევა, რომ დოკუმენტი, რომელზეც იყო ბრალდებულ [REDACTED] მიერ რუკებზე გაკეთებული ჩანაწერები, შემოწმდა უსაფრთხოების სამსახურის მიერ და მას შემდეგ, რაც უსაფრთხოების სამსახური დარწმუნდა, რომ ჩანაწერების შინაარსი არ არღვევდა კანონით გათვალისწინებულ ნორმებს, გადაწყვდა ადვოკატისთვის აღნიშნული დოკუმენტის გადაცემა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული კანონმდებლობა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკა ცალსახად აცხადებს, რომ ბრალდებულის და ადვოკატის წერილობითი კომუნიკაციის ამსახველი მასალები კონფიდენციალურობის პრივილეგიით სარგებლობს. გამონაკლისი - ჩანაწერების შინაარსობრივი გაცნობა - დასაშვებია მხოლოდ გონივრული საფუძვლის არსებობისას იმის შესახებ, რომ ხდება პრივილეგიის ბოროტად გამოყენება, ანუ წერილის შინაარსი საფრთხეს უქმნის ციხის ან სხვათა უსაფრთხოებას ანდა სხვაგვარად არის სისხლისსამართლებრივი ხასიათის მქონე.

N8 დაწესებულების დებულება დაწესებულების თანამშრომლებს აძლევდა უფლებას, დოკუმენტი ენახათ ვიზუალურად, შინაარსობრივი გაცნობის გარეშე.²¹ ვიზუალური დათვალიერების შედეგად მათ იცოდნენ, რომ ადვოკატისთვის გადასაცემი მასალა - რუკები და მათზე გაკეთებული მინაწერები - შეეხებოდა ბრალდებულის სისხლის სამართლის საქმის შესახებ ინფორმაციას. მათ არ ჰქონდათ რაიმე საგამონაკლისო, გონივრული საფუძველი იმისთვის, რომ წარმოშობილიყო ადვოკატისთვის გადასაცემი მასალის შინაარსის გაცნობის აუცილებლობა, რასაც კრძალავს როგორც დაწესებულების დებულება, ისე - კანონმდებლობა, კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა სამართალი. ადვოკატსა და ბრალდებულს შორის, სისხლის სამართლის საქმის შესახებ, პრივილეგირებული ინფორმაციის გაცნობით, მათ დაარღვიეს კანონმდებლობა, რაც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია.²²

დასკვნა

ამდენად, 2020 წლის 29 დეკემბერს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულებაში ბრალდებული [REDACTED] შეხვდა ადვოკატს მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო განხილვისთვის დაცვის მომზადების მიზნით, რა დროსაც ბრალდებულის მიერ ადვოკატისთვის გადასაცემ საქმის მასალებზე წერილობითი კომენტარების ამსახველი

²¹ „საქართველოს საჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანება, მუხ. 40, პუნქ. 14, პირველი წინადადება.

²² „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით და „საქართველოს საჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებისა და ეთივის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N144 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა.

დოკუმენტები, კანონის დარღვევით, წაიკითხეს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა.

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან დაირღვა [REDACTED] კანონმდებლობით დაცული²³ უფლება ადვოკატთან კონფიდენციალურ კომუნიკაციაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური საქმისწარმოება სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ ბრალდებულის ადვოკატთან წერილობითი კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლების დარღვევის ფაქტზე და მიიღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება, ვინაიდან მათ ჩაიდინეს „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით და „საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N144 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომუჯარია

5-
[Handwritten signature]

სახალხო დამცველი



²³ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის და საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად.